# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის

## დადგენილება №10
2024 წლის 13 ივნისი

ქ. თბილისი

**„ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლისა და 29-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 25 დეკემბრის №33 დადგენილების (ვებგვერდი, 31.12.2014, სარეგისტრაციო კოდი: 300320000.16.009.016110) პირველი პუნქტით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ (დანართი №1) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს $3^1$ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„$3^1$. სატარიფო რეგულირების პერიოდის ტარიფის გაანგარიშებისას კომისია უფლებამოსილია განახორციელოს საწარმოს რეგულირებადი დანახარჯების ბაზის კორექტირება დანახარჯების მარეგულირებელი აუდიტის ანგარიშში სახელფასო ფონდთან დაკავშირებული მითითების გათვალისწინებით.“.

**მუხლი 2**

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

| | |
|---|---|
| საქართველოს ენერგეტიკისა და<br>წყალმომარაგების მარეგულირებელი<br>ეროვნული კომისიის თავმჯდომარე | დავით ნარმანია |
| კომისიის წევრი | გიორგი ფრუიძე |
| კომისიის წევრი | გიორგი ფანგანი |
| კომისიის წევრი | დავით თვალაბეიშვილი |
| კომისიის წევრი | გივი სანიკიძე |